კონტექსტი

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები, რომლებიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეხება, მოითხოვს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე უწყვეტ ფოკუსირებას. პროექტი ეყრდნობა მისი წინამორბედი პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და მიზნად ისახავს სოციალური უფლებების გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

შესაბამისად, პროექტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, სამოქალაქო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განმტკიცებაზე, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის გაუმჯობესებისთვის. ამავდროულად, პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შშმ პირების და ხანდაზმულების სოციალურ უფლებებს.

ამას გარდა, პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალური უფლებებისა და ევროპის სოციალური ქარტიის პოპულარიზაციას და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებას სამიზნე ჯგუფებში და ფართო საზოგადოებაში, და სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს უფლებების პრაქტიკაში განუხორციელებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.



საკონტაქტო დეტალები

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში

64ბ ი. ჭავჭავაძის გამზირი, მე-14 სართული

თბილისი 0179, Georgia

+99532 2913870/ 71/ 72

http://www.coe.ge

ევროპის საბჭოს პროექტი „სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE 75 1949 - 2024 CONSEIL DE L'EUROPE

სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში

ევროპის საბჭოს პროექტი

KA

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE 75 1949 - 2024 CONSEIL DE L'EUROPE

პროექტის აღწერა

პროექტის სახელწოდება - “სოციალური და ეკონომიკური უფლებების განმტკიცება საქართველოში“

პროექტს ახორციელებს - ევროპის საბჭო –სოციალურ უფლებათა დეპარტამენტი, თანამშრომლობის და კომუნიკაციის განყოფილება

ჯამური თანხა: - EUR 1,000,000

პროექტის მნიშვნელობა ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმისა და პრიორიტეტებისთვის - *ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის*

ხანგრძლივობა - 24 თვე (2024 წლის იანვარი – 2025 წლის დეკემბერი)

მიზნები

ზოგადი მიზნები:

- საქართველოში გაიზარდა სოციალური უფლებების შესახებ მოწყვლადი ჯგუფების და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობა და გაუმჯობესდა მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

კონკრეტული მიზნები:

- სახელმწიფო ორგანოები დგამენ ნაბიჯებს სოციალური და ეკონომიკური უფლებების, განსაკუთრებით, დასაქმებულის უფლებების დაცვის სფეროში კანონმდებლობის ევროპის საბჭოს და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, პროფკავშირები და სხვა შესაბამისი დაწესებულებები და სამოქალაქო ორგანიზაციები) ეროვნული და ალტერნატიული (ჩრდილოვანი) ანგარიშების ხარისხს აუმჯობესებენ, რომელიც წარედგინება სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს.
- სახელმწიფო ორგანოები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების (პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები, შრომის ინსპექტორები, სახალხო დამცველის ოფისი, სამართლის სპეციალისტები (მათ შორის, მოსამართლეები) და სხვა შესაბამისი დაწესებულებები სამოქალაქო ორგანიზაციები) ხელს უწყობენ და აუმჯობესებენ სოციალური უფლებებს (განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების სოციალური უფლებების დაცვის), ევროპული სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგები

- სახელმწიფო ორგანოები, გადაწყვეტილების მიმღები პირები და სამმხრივი სოციალური დიალოგის მონაწილეები აცნობიერებენ დასაქმებულთა და შრომითი უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (განსაკუთრებით, შშმ პირების და ხანდაზმულების შემთხვევაში) კომპლექსური, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოს ინტეგრირებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.
- კანონმდებლები, სამმხრივი სოციალური დიალოგის მონაწილეები და არასამთავრობო სექტორის შესაბამისი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან ევროპის სოციალური ქარტიის დამატებით დებულებებთან მიერთების და აგრეთვე, კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ ქარტიის დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის და პროცედურული ასპექტების შესახებ და აცნობიერებენ აღნიშნულის მნიშვნელობას.
- შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აქვთ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის წარსადგენი ხარისხიანი ეროვნული ანგარიშების მოსამზადებლად საჭირო მონაცემების მართვის უნარები და შესაძლებლობები.
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, პროფკავშირები და სხვა შესაბამისი დაწესებულებები და სამოქალაქო ორგანიზაციები აუმჯობესებენ თავიანთ უნარებს და შესაძლებლობებს, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის ალტერნატიული (ჩრდილოვანი) ანგარიშების მოსამზადებლად მონაცემთა მართვის კუთხით.
- ევროპის სოციალური ქარტიის, სოციალურ ულფებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის და შესაბამისი ევროპული სტანდარტების შესახებ ცოდნის გაღრმავება სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს შორის, მათ შორის, სამართლის სპეციალისტებს, სამართლის სტუდენტებს და სოციალური მეცნიერების წარმომადგენლებს შორის.
- საერთაშორისო და ეროვნული შრომითი ნორმების, ინტერპერსონალური უნარებისა და ორგანიზაციული განვითარების შესახებ ცოდნის გაღრმავება და კონსოლიდირება შრომის ინსპექციის წარმომადგენლებს შორის.

ეროვნული პარტნიორები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი; საქართველოს პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; შრომის ინსპექციის სამსახური; იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველი.

სამიზნე ჯგუფები

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები; შრომის ინსპექციის თანამშრომლები;
- იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები;
- სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები;
- საჯარო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

საბოლოო ბენეფიციარები

- ფართო საზოგადოება, მოწყვლადი პირები (შშმ პირები, ხანდაზმულები), დასაქმებულები და დამსაქმებლები.

პროექტის გუნდი

მარგარიტა გალსტიანი
თანამშრომლობის განყოფილების უფროსი
margarita.galstyan@coe.int

გვანცა კერესელიძე
პროექტის ოფიცერი
Gvantsa.kereselidze@coe.int

თამარ ნოზაძე
პროექტის უფროსი ოფიცერი
Tamar.nozadze@coe.int

ანანო ცარციძე-ნდუკვე
პროექტის ასისტენტი
anano.tsartsidze-ndukwe@coe.int